



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მაღაზონია ვლადიმერ (ლადო) გიორგის ძე

მაღაზონია ვლადიმერ (ლადო) გიორგის ძე (24. I. 1900, ოზურგეთი, – 27. XII. 1985, იქვე), მხატვარი. საქართვე. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1955). დაამთავრა საქართვე. (1933-იდან თბილისის) სამხატვრო აკადემია (1924). იყო ოზურგეთის თეატრის მთ. მხატვარი და დირექტორი (1942–45). მონაწილეობას იღებდა გამოფენებში, მ. შ. 1968 – თბილისში, საქართვე. სურათების გალერეაში (ახლანდ. დ. შვეარდნაძის სახ. საქართვე. ეროვნ. გალერეა). მ. შემოქმედებითი მუშაობის დროს ძირითადად იყენებდა აკვარელისა და გუაშის საღებავებს. ცნობილია მისი გურიისა და ოზურგეთის პეიზაჟები და ხედები, რ-ებსაც ისტ.-ეთნოგრ. ღირებულებაც აქვს. მ-ს ნამუშევრები დაცულია ოზურგეთის ისტ. მუზეუმსა და სამხატვრო გალერეაში. 2013 ოზურგეთის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი.

---